საიდ. N72796/03

IR 1056696

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №185-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,კამიუ ლა გრანდე მარკ" (CAMUS LA GRANDE MARQUE) (მის.: 29 რიუ მარგერიტ დე ნავარო, F-16100 კონიაკი, საფრანგეთი; 29 rue Marguerite de Navarre, F-16100 COGNAC) N185-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 აგვისტოს N2216/03 ბრძანების

ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03 IR 1056696) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 აგვისტოს N2216/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,CAMUS", დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანია „KAMUT ENTERPRISES OF EUROPE B.V.B.A., besloten vennootschap met beperkte aansprakelijkheid“ (მის.: Kerkplein 5, B-9667 SINT-MARIA-HOREBEKE; BE), სახელზე 30-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „KAMUT“ (საერთ. რეგ. №584245, საერთ. რეგ. თარიღი 09.03.1992წ.). დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური შრიფტით და მათ შორის განსხვავებულია მხოლოდ პირველი - ,,C’’ და ,,K’’ და მეხუთე - ,,S’’ და ,,T“ ასოები. მიუხედავად ამისა, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და ვიზუალური მხარე, რაც ქმნის სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03, IR 1056696) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი.

აპელანტის აზრით, მომხმარებლის მხრიდან არ ექნება ადგილი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული 30-ე კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევას, რადგან განცხადებულ და დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი სემანტიკური, ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავება.

აპელანტი განმარტავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებას და აღნიშნავს, რომ სიტყვიერი ნაწილი ,,CAMUS“ არ არის ფანტაზიური. ეს აღნიშვნა კარგად არის ცნობილი, როგორც სახელგანთქმული ფრანგი მწერლის ალბერ კამიუს გვარი. იგი ასევე ცნობილია, როგორც აპელანტის მიერ წარმოებული, მთელ მსოფლიოში განთქმული კონიაკის ბრენდი ,,CAMUS“. გარდა ამისა, სიტყვიერ ელემენტს აქვს აზრობრივი დატვირთვაც. კერძოდ, იტალიურ, ლათინურ და ფრანგულ ენაზე მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია ცხვირთან. იტალიურად ის ნიშნავს მიჭყლეტილ ცხვირს, ფრანგულად - აპრეხილ (პაჭუა) ცხვირს, ხოლო ლათინურად - სადრუნჩეს. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,KAMUT” კი ფანტაზიურია და მას აზრობრივი დატვირთვა არა აქვს.

აპელანტი განმარტავს რომ განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები ერთმანეთისაგან ვიზუალურადაც განსხვავდება. ორივე მათგანი ჩაწერილია ლათინური შრიფტით და შედგება ხუთი ასოსგან განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი იწყება ასო-ბგერით ,,C” და მთავრდება ასო-ბგერით ,,S”, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საწყისი ასო-ბგერაა ,,K” და ბოლო ასო-ბგერაა ,,T”. მიუხედავად შუა სამი ასო-ბგერის იდენტურობისა, საწყის და ბოლო ასო-ბგერებს შორის არსებული განსხვავება,

დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას ანიჭებს.

აპელანტი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ფონეტიკურ განსხვავებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ფართოდ არის ცნობილი, როგორც გვარი ცნობილი ფრანგი მწერლისა და ბრენდი ფრანგული კონიაკისა და ქართულ ენაზე გამოითქმის როგორც ,,კამიუ". რაც შეეხება დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს, ქართულ ენაზე ის იკითხება როგორც - ,,კამუტ".

აპელანტის აზრით, სასაქონლო ნიშანი ,,CAMUS", რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან გამოიყენებოდა ფრანგული კონიაკისათვის, კარგად არის ცნობილი ქართველი მომხმარებლებისათვის, რადგან ამ ნიშნით დაცული ფრანგული კონიაკი ხელმისაწვდომი იყო მისთვის. ამასთან, გარდა იმისა, რომ ეს არის კარგად ცნობილი სასაქონლო ნიშანი და აქედან გამომდინარე ქართველ მომხმარებლთა შორის ის არ გამოიწვევს აღრევას მწარმოებელთან მიმართებაში, ის საქართველოში კარგი რეპუტაციითაც სარგებლობს.

ამასთან, აპელანტი სააპელაციო საჩივარში განმარტავს, რომ უახლოეს მომავალში წარმოადგენს დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის ,,KAMUT" (IR 584245) მფლობელი კომპანიის ,,კამუტ ენტერპრაისის ოფ იუროფ ბ.ვ.ბ.ა. ბესლოტენ ვენოოტშაპმეტ ბეპერკტე ანშპრაკელიჯკჰაიდ" (KAMUT ENTERPRISES OF EUROPE B.V.B.A. besloten vennootschap met beperkte aansprakelijkheid) (მის.: კერპლაინ 5, B-9667, სან მარია ჰორებეკე; Kerkplein 5, B-9607 SINT-MARIA-HOREBEKE (BE)) თანხმობის წერილს, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,CAMUS" (საიდ. N72796/03 IR 1056696) კომპანიის ,,კამიუ ლა გრანდე მარკ"-ის (CAMUS LA GRANDE MARQUE) (მის.: 29 რიუ მარგერიტ დე ნავარო, F-16100 კონიაკი, საფრანგეთი; 29 rue Marguerite de Navarre, F-16100 COGNAC) სახელზე საქართველოში დაცვის მინიჭების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 აგვისტოს N2216/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნანს ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03 IR 1056696) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №185-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03, IR 1056696) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,KAMUT” (IR 584245) არ არის აღრევამდე მსგავსი. სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური განსხვავება. განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03 IR 1056696), ისევე როგორც დაპისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,KAMUT” (IR 584245), შედგება ლათინური ანბანით შესრულებული ხუთი ასოსგან, მაგრამ ამასთან, ზემოაღნიშნულ სასაქონლო ნიშნებს საერთო აქვთ მხოლოდ შუა სამი ასო, კერძოდ ,,AMU“, რაც შეეხება პირველ და ბოლო ასოს ისინი განსხვავებულია. განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ეს არის ,,C“ და ,,S“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ,,K“ და ,,T”. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვიზუალურად, სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ განსხვავებულ ნიშნებს.

სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს ფონეტიკური განსხვავება. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც - ,,კამიუ", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც ,,კამუტ". შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნები ჟღერადობით იმდენად განსხვავებულია, რომ არ მოხდება მომხმარებელის შეცდომაში შეყვანა.

რაც შეეხება დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებას, სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას და განმარტავს, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,CAMUS" არ არის ფანტაზიური სიტყვა და ის არის მსოფლიოში ცნობილი და სახელგანთქმული ფრანგი მწერლისა და პოლიტიკოსის ალბერტ კამიუს გვარი. გარდა ამისა, ამავე სახელწოდებით არის ცნობილი კონიაკის დასახელება. სიტყვიერი ელემენტი ,,CAMUS" აღნიშნავს ასევე ყურეს სახელწოდებას შოტლანდიაში, სოფელს ირლანდიაში და ხალხის ჯგუფის დასახელებას კენიაში (წყარო: http://de.wikipedia.org/wiki/Camus_(Begriffskl%C3%A4rung)). რაც შეეხება დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,KAMUT" (IR 584245), ის არის ე.წ. ზაფხულის მარცვლეული კულტურის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ირანის ჩრდილო პროვინციიდან მომდინარეობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მსგავსია დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება, არ მოხდება ამ ორი ნიშნის აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგია აღნიშნავს, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია სააპელაციო საჩივარში მითითებული თანხმობის წერილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03 IR 1056696) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03, IR 1056696) უნდა მიენიჭოს დაცვა საქართველოში 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,კამიუ ლა გრანდე მარკ“ (CAMUS LA GRANDE MARQUE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №185-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 აგვისტოს N2216/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,CAMUS“ (საიდ. N72796/03 IR 1056696) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე